



საჩუქრადგანთ წერიდი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
სამინისტროს ხელმძღვანელობას

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდისთვის
კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების აუდიტის ანგარიში

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განახორციელა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. შედეგად, გაიცა უარყოფითი დასკვნა.

აუდიტი ჩატარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების საპასუხოდ, წარმოგიდგენთ ჩვენს რეკომენდაციებს და ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვან სხვა ინფორმაციას.

მიუხედავად გამოვლენილი ნაკლოვანებებისა, გვინდა აღვნიშნოთ სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს, სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოსა და დონორების პროექტების მიერ 2020 წელს მიღწეული პროგრესი საადრიცხო სისტემის გამართვისა და ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი და უტყუარი წარდგენის თვალსაზრისით.

პატივისცემით,

ერეკლე მექვაბიშვილი
გენერალური აუდიტორი

ტერმინები და შემოკლებები	2
1. რეკომენდაციები.....	3
2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები	12
3. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა.....	17
საკონტაქტო ინფორმაცია	19

ტერმინები და შემოკლებები

სამინისტრო – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

სამინისტროს აპარატი – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატი;

აღრიცხვის ინსტრუქცია – „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;

დაცული ტერიტორიების სააგენტო – სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო;

სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი – სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი;

სატყეო სააგენტო – სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტო;

ღვინის სააგენტო – სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტო;

სოფლის განვითარების სააგენტო – ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო;

დონორების პროექტი – ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების (WB), სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის პროექტი (GEF, IFAD);

კორპორაცია – სს „საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაცია“;

ანასეული – შპს „ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრი „ანასეული“;

მიწის მართვის სააგენტო – სსიპ – მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო.

1. რეკომენდაციები

1.1 კონტროლირებულ ერთეულებში განხორციელებული ინვესტიციები

აუდიტის მიგნება	აღრიცხვის ინსტრუქციის თანახმად, ¹ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიების წილები უნდა აღირიცხოს კაპიტალ-მეთოდის გამოყენებით. სამინისტროს ანგარიშზე – „ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში“ ასახულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიების საწესდებო კაპიტალი, რომელიც არ არის აღიწხული კაპიტალ-მეთოდის გამოყენებით.
მიზეზი	აღრიცხვის არასათანადო პრაქტიკა.
გავლენა	ფინანსური ანგარიშგების მუხლში – „ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში“ არსებული უზუსტობები.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია სამინისტროს შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულებმა უზრუნველყონ ინვესტიციების აღრიცხვა კაპიტალ-მეთოდის მოთხოვნების შესაბამისად. კერძოდ, სამინისტრომ განიხილოს სახელმწიფო კომპანიებში არსებული წილების ერთჯერადად სამართლიანი ღირებულებით შეფასების საკითხი ან საიმედო ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, სახელმწიფო კომპანიებში წილობრივი ინსტრუმენტების საბოლოო ნაშთი დააკორექტიროს წინა წლებში არსებული თანხობრივი, ქონებრივი და წილობრივი შენატანებით და გაითვალისწინოს კაპიტალ-მეთოდის მოთხოვნები.
კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	სამინისტროს აპარატი, ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო, სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.
აუდიტის მიგნება	სამინისტროს აპარატისა და დონორების პროექტების ფინანსური ანგარიშგებების მუხლში – „ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში“ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხულია შპს „საქართველოს მელიორაციაში“ განხორციელებული 922,783,395 ლარის შენატანები, ხოლო შპს „საქართველოს მელიორაციის“ საცდელ ბალანსში, სამინისტროდან კაპიტალში განხორციელებული შენატანები 500,930 ლარით ნაკლებია, აპარატისა და დონორების ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ თანხასთან შედარებით.² სოფლის განვითარების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში „გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ მუხლში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხულია 17,208,827 ლარი, რაც წარმოადგენს 2012-2018 წლებში სს „საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაციასა“³ და 2012-2014 წლებში შპს „გორის სასათბურე მეურნეობაში“ განხორციელებულ შენატანებს.⁴ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კორპორაციის აქტივები შედგება რამდენიმე სამეურნეო ნივთისა და შპს „აბაშის მარცვლეული კულტურის

¹ ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“, მუხლი 10, პუნქტები: 45 და 46.

² აღნიშნული საკითხი განხილულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიშში.

³ ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს 2011 წელს გადაეცა სს „საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაციის“ 100%-იანი წილი.

⁴ აღნიშნული საკითხი განხილულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიშში.

შესანახ ცენტრსა⁵ და შპს „საქართველო-ბელორუსიის სავაჭრო-ეკონომიკურ სააგენტოში“⁶ არსებული წილებისაგან.

კორპორაციის განმარტებით, ის არ ფლობს ინფორმაციას ზემოაღნიშნული კომპანიების ფინანსური მონაცემების ან მათ საკუთრებაში არსებული აქტივების შესახებ, ხოლო შპს „გორის სასათბურე მეურნეობაზე“ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით,⁷ 2016 წლიდან მიმდინარეობს გადახდისუუნარობის (გაკოტრების) საქმისწარმოება.⁸

2015 წლის სხდომის ოქმის⁹ თანახმად, შპს „გორის სასათბურე მეურნეობის“ საკუთრებაში არსებული 4,105,690 ლარის ღირებულების აქტივები¹⁰ უსასყიდლოდ გადაეცა სახელმწიფოს. ასევე, კომპანიის დირექტორის განმარტებით, ანგარიშის თარიღისათვის შპს „გორის სასათბურე მეურნეობა“ ფლობს მხოლოდ რამდენიმე სამეურნეო/საოფისე ინვენტარს.

შესაბამისად, ჩვენ ვერ მივიღეთ რწმუნება, რამდენად აკმაყოფილებს ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს ფინანსურ ანგარშეგებაში ასახული 17,208,827 ლარი აქტივად აღიარების კრიტერიუმებს და რამდენად შეესაბამება მის რეალურ ღირებულებას, ასევე ვერ დავრწმუნდით ინვესტირებული თანხით შექმნილი აქტივების არსებობაში.

მიზეზი

ინვესტიციების არასათანადო კონტროლი.

გავლენა

ფინანსური ანგარიშების მუხლში – „ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში“ არსებული უზუსტობები, ფინანსური დანაკარგების რისკი.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშების სამართლიანად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატმა შეაფასოს მუხლში – „ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში“ აკუმულირებული თანხების წარმოშობისა და კლასიფიკაციის სისწორე.

ასევე, ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელებული ფულადი შენატანების ეფექტიანად განკარგვის უზრუნველსაყოფად და შესაბამისი რეაგირების მიზნით, მიზანშეწონილია სააგენტომ შეისწავლოს ინვესტიციების მიზნობრიობა, დაადგინოს რამდენად მიაღწიეს მათ თავდაპირველ მიზნებს და მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, იმოქმედოს კანონმდებლობის შესაბამისად; ასევე განსაზღვროს, რამდენად აკმაყოფილებს აღნიშნული თანხები აქტივად აღიარების კრიტერიუმებს, მათ მიერ სამომავლოდ მოტანილი ეკონომიკური სარგებლისა და მომსახურების პოტენციალის გათვალისწინებით.

⁵ 100%-იანი წილი.

⁶ ს/ნ 404865259, მეწილეები: სს „საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაცია“ (30%), უცხოური საწარმო დახურული სს „ხორცისა და რძის კომპანია“, ბელარუსი (16%), უცხოური საწარმო რესპუბლიკური უნიტარული სავაჭრო-სამრეწველო საწარმო სავაჭრო სახლი „ბელგოსპიშჩეროვ“, ბელარუსი (17%), უცხოური საწარმო მანქანათმშენებლობის სახელმწიფო სამეწარმეო გაერთიანება „ბელაგრომაშ“, ბელარუსი (17%), შპს „მექანიზატორი“ (10%), სახელმწიფო (10%).

⁷ ბოლო ცვლილების თარიღი: 06/05/2016.

⁸ გაკოტრების მმართველად დანიშნულია სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიურო.

⁹ ა(ა)იპ – სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს (ყოფილი – სოფლის განვითარების სააგენტო) გამგეობის N53 სხდომის ოქმი.

¹⁰ მიწის ნაკვეთები, სათბურის კონსტრუქცია, ირიგაციისა და გათბობის სისტემა და სხვა აქტივები.

1.2 ვადაგადაცილებული მოთხოვნები

აუდიტის მიგნება

სამინისტროს აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში „გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ მუხლი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს 9,618,222 ლარის ისეთ დებიტორულ დავალიანებას, რომელიც წარმოქმნილია 2004-2009 წლებში, მათ შორის:

- 6,123,850 ლარი¹¹ წარმოადგენს შპს „საქართველოს მელიორაციის“¹² მიმართ არსებულ სასესხო მოთხოვნას, რომლის დაფარვის ალბათობა მცირეა ხანდაზმულობიდან და კომპანიის ფინანსური მდგომარეობიდან¹³ გამომდინარე;
- 3,494,372 ლარის დებიტორული დავალიანება წარმოადგენს 2004 წელს ამერიკული ხორბლის რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხიდან მარცვლეულის მოსავლის მოყვანის პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული სერვისცენტრების გახსნის მიზნით, სხვადასხვა კომპანიებზე¹⁴ გაცემულ სესხებს. სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, დაუფარავი სესხების ნაწილზე 2010 წლიდან უშედეგოდ მიმდინარეობს სააღსრულებო წარმოების პროცესები,¹⁵ ნაწილზე – გაკოტრების საქმისწარმოება.¹⁶

სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 2007 წელს წარმოშობილი 2,446,067 ლარის ოდენობის¹⁷ ვადაგადაცილებული სასესხო მოთხოვნები, რომელიც წარმოადგენს სამინისტროს, სააგენტოსა და ფინანსთა სამინისტროს მიერ ოთხმხრივი ხელშეკრულების ფარგლებში ორ კომპანიაზე¹⁸ გაცემულ სესხს.

ფინანსთა სამინისტროდან მიღებული წერილიდან¹⁹ გამომდინარე, სესხებისა და დაკისრებული პირგასამტეხლოს ამოღების ალბათობა მინიმალურია.

მიზეზი

აღრიცხვის არასათანადო პრაქტიკა.

გავლენა

„გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ მუხლში არსებული უზუსტობები, ფინანსური დანაკარგების რისკი.

¹¹ სესხის ძირი: 2,500,000 ლარი, პროცენტი და პირგასამტეხლო: 3,623,850 ლარი.

¹² შპს „საქართველოს მელიორაციის“ 100%-იანი წილის მფლობელია სახელმწიფო; საქართველოს მელიორაცია შექმნილია 2012 წელს შემდეგი 4 კომპანიის გაერთიანებით: შპს „კოლხეთი-მ“, შპს „მტკვარი-მ“, შპს „ალაზანი-მ“, შპს „სიონი-მ“.

¹³ 2020 წლის საცდელი ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, შპს „საქართველოს მელიორაციის“ ზარალი 82 მილიონი ლარია (2019 - 26 მილიონი ლარი), ხოლო აკუმულირებული ზარალი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს, დაახლოებით, 851 მილიონ ლარს. ასევე „საქართველოს მელიორაციას“ თითქმის ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მთავრობის განკარგულებით გამოეყოფა, დაახლოებით, 17-20 მლნ ლარის სუბსიდია მიმდინარე საქმიანობისთვის.

¹⁴ შპს „ერედვი“, ფ/პ ზვიად კობერიძე, შპს „გორა-2003“, სს „სოფლტექსერვისი“.

¹⁵ შპს „მარცვალი“, შპს „ღვარები“, შპს „ერედვი“, ფ/პ ზვიად კობერიძე, სს „სოფლტექსერვისი“.

¹⁶ შპს „ბეგი კომპანი“, შპს „გორა-2003“.

¹⁷ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის: „ღვინის ქარხნების ფინანსური მხარდაჭერის ღონისძიებების“ დასაფინანსებლად გაცემული სესხების ძირი თანხა - 585,500 ლარი, დარიცხული პროცენტი - 12,158 ლარი და პირგასამტეხლო - 1,848,409 (პროცენტი და პირგასამტეხლო ასახულია „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების“ ანგარიშზე).

¹⁸ შპს „ქართული ღვინის იმპერია“ და შპს „ალაზნის ველი და კომპანია“.

¹⁹ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის 2021 წლის 7 აპრილის N18/44182 წერილი.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია სამინისტროს აპარატმა და სსიპ - ღვინის ეროვნულმა სააგენტომ, ფინანსთა სამინისტროსთან კოორდინაციით, შეისწავლოს და შეაფასოს სასესიო ხელშეკრულებების ფარგლებში გაცემული სესხების წარმოშობის საფუძვლები, განსაზღვროს, რამდენად წარმოადგენს აღნიშნული თანხები საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოთხოვნებს და იმოქმედოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ასევე მიზანშეწონილია სამინისტროს ცენტრალურმა აპარატმა განსაზღვროს, რამდენად აკმაყოფილებს სხვა ვადაგადაცილებული სესხები აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

კომპონენტები, რომლებზეც

გაიცა რეკომენდაცია

შესასრულებლად

სამინისტროს აპარატი, სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო.

1.3 განმარტებითი შენიშვნები

აუდიტის მიგნება

სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს 2020 წლის ინვენტარიზიის შედეგები შეჯამდა ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების შემდეგ,²⁰ რის გამოც საცნობარო ანგარიშებზე გამოვლენილი 1,291,829 ლარის ოდენობის დანაკლისი²¹ არ აისახა 2020 წლის 31 დეკემბრით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში. საინვენტარიზაციო კომისიის გადაწყვეტილებით, სააგენტოს შიდა აუდიტის დეპარტამენტს დაევალა ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი დანაკლისის წარმოშობის საკითხის შესწავლა.

მიზეზი

მარაგების მართვაში არსებული არასათანადო კონტროლის მექანიზმი.

გავლენა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში არსებული უზუსტობები, ფინანსური დანაკარგების რისკი.

რეკომენდაცია

სააგენტოს აქტივების დაცულობის უზრუნველსაყოფად და ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, სსიპ - ეროვნულმა სატყეო სააგენტომ უზრუნველყოს ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი დანაკლისის გამომწვევი მიზეზების დადგენა და იმოქმედოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტი, რომელზეც გაიცა

რეკომენდაცია

შესასრულებლად

სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო.

1.4 სასამართლო დავები

აუდიტის მიგნება

სამინისტროს დაქვემდებარებულ უწყებებში არ არის განსაზღვრული ერთიანი კრიტერიუმი, რომლის საფუძველზეც შეფასდება სასამართლო დავების მოსალოდნელი შედეგები და, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მოთხოვნები, ვალდებულებები, პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები.

²⁰ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2020 წლის 31 დეკემბრის N2942/ს ბრძანებით შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის სხდომის ოქმი N1, 30.06.2021 წ.

²¹ ამორტიზებული ძირითადი აქტივები - 1,012,720 ლარი, ხარჯებში ჩამოწერილი მატერიალური მარაგები და მცირეფასიანი აქტივები ექსპლუატაციაში - 279,109 ლარი, პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული აქტივები - 3,582 ლარი.

მიზეზი	არაერთგვაროვანი მიდგომა სასამართლო დავებთან დაკავშირებით.
გავლენა	ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნების, ვალდებულებების, პირობითი აქტივებისა და პირობითი ვალდებულებების მუხლში არსებული უზუსტობები.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყოს სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებში ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბება სასამართლო დავების მოსალოდნელი შედეგების აღრიცხვასთან დაკავშირებით.
კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია	სამინისტროს აპარატი, სამინისტროს დაქვემდებარებული ყველა შესასრულებლად
შესასრულებლად	სტრუქტურული ერთეული.

1.5 ავანსად გაცემული დებიტორული დავალიანებები

აუდიტის მიგნება	სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხულია 5,097,442 ლარის დებიტორული დავალიანებები, რომლებიც წარმოშობილია გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (KfW) მიერ დაფინანსებული დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში.²² დონორის მიერ გამოყოფილი თანხების ათვისება ხორციელდება მისივე დაქირავებული კონსულტანტების მიერ, რის შესახებაც სააგენტოს ინფორმაციას აწვდის სახელმწიფო ხაზინა და ამ მონაცემების საფუძველზე აღიარდება მოთხოვნები ავანსის სახით. აღსანიშნავია, რომ ხაზინიდან მიღებული ინფორმაციით, სააგენტო ვერ უზრუნველყოფს იდენტიფიცირებას რომელი აქტივების შექმნას ან მომსახურების გაწევას უკავშირდება პროექტის შესრულებისთვის დონორის მიერ გადარიცხული თანხები. შესაბამისად, პროექტის დასრულებამდე არ აქვს შესაძლებლობა შეამციროს 2014 წლიდან აკუმულირებული ავანსები, რომლებიც შესაძლებელია წარმოადგენდეს ხარჯს ან ძირითად აქტივს.
მიზეზი	აღრიცხვის არასათანადო პრაქტიკა.
გავლენა	ავანსის სახით გაცემულ დებიტორულ დავალიანებებში არსებული შესაძლო უზუსტობები.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, მიზანშეწონილია სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტომ შეისწავლოს დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ავანსად გაცემული დებიტორული დავალიანებების არსებობის საფუძვლები, ასევე ფინანსთა სამინისტროსთან და დონორთან კოორდინაციით, ეტაპობრივად შესრულებული სამუშაოების საფუძველზე, შეამციროს აღნიშნული მოთხოვნები და გაზარდოს შესაბამისი ხარჯების ან აქტივების მუხლები.

²² „დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში - საქართველო“.

კომპონენტი, რომელზეც გაიცა
რეკომენდაცია
შესასრულებლად

სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო.

1.6 ინვენტარიზაცია

აუდიტის მიგნება

ინვენტარიზაცია წარმოადგენს კონტროლის მექანიზმს, რომლის მიზანია დანაკლისის, ზედმეტობისა და დაზიანებული ან/და გამოუსადეგარი ძირითადი აქტივების იდენტიფიცირება. შესაბამისად, ინვენტარიზაციის ჩატარება მნიშვნელოვანია რწმუნების მოსაპოვებლად, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა ძირითადი საშუალება რეალურად არსებობს და ამასთანავე, ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ყველა ძირითადი საშუალება სრულად არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. ფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის სრულყოფილად ჩატარება მნიშვნელოვანია ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის სამართლიანი და უტყუარი წარდგენისათვის. ინვენტარიზაცია ასევე ზრდის აქტივების ეფექტიანად მართვის შესაძლებლობას.

ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოში 2020 წელს არ ჩატარებულა ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია, ხოლო სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოში 2020 წელს დაიწყო ინვენტარიზაცია, თუმცა არ დასრულებულა.

სსიპ – ეროვნულ სატყეო სააგენტოსა და სსიპ – ველური ბუნების ეროვნულ სააგენტოს 2020 წლის ინვენტარიზაციის შედეგები 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში²³ არ არის ასახული.

მიზეზი

აქტივებისა და ვალდებულებების არასათანადო კონტროლი.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული შესაძლო უზუსტობები, ფინანსური დანაკარგების რისკი.

რეკომენდაცია

აქტივების მართვაში არსებული ნაკლოვანებების გამოსავლენად და ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, სამინისტროს სტრუქტურაში შემავალმა ზემოაღნიშნულმა ორგანიზაციებმა ინვენტარიზაცია ჩაატარონ ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად.

კომპონენტები, რომელზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად

ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო, სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო, სსიპ – ეროვნულ სატყეო სააგენტო, სსიპ – ველური ბუნების ეროვნული სააგენტო.

1.7 საწვავის მარაგების მართვა

აუდიტის მიგნება

სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოს არ აქვს სათანადოდ დაგეგმილი საწვავის მარაგების მართვა. კერძოდ, 2018 წელს შეძენილი 6,346,673 ლარის ნავთობპროდუქტებიდან 2018 წელს გაიხარჯა 5,618,776 ლარის მარაგი.

²³ სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს საინვენტარიზაციო კომისიის ოქმი დათარიღებულია 2021 წლის 30 ივნისით, სსიპ – ველური ბუნების ეროვნულმა სააგენტომ ვადაგასული ან/და უვარგისი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა ჩამოწერა 2021 წლის მაისში, შემოსავლების სამსახურის 2021 წლის 19 მაისის Nსმფ-1456 ბრძანების შესაბამისად.

მარაგების დარჩენილი ნაშთიდან (727,897 ლარი) 2019-2020 წლებში სულ გახარჯულია 300,478 ლარის მარაგი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში კვლავ რჩება 2018 წელს შეძენილი მარაგების ნაშთი 427,419 ლარის ოდენობით.

აღსანიშნავია, რომ აუდიტის ჯგუფის მიერ გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია ნავთობოპერატორებთან არსებული საწვავის ნაშთების შესახებ, რაც სააგენტომ ვერ მოგვაწოდა.

მიზეზი

საწვავის მარაგების არასათანადო კონტროლი.

გავლენა

მარაგების ნაშთში არსებული შესაძლო უზუსტობები და არაეფექტიანი ხარჯვა.

რეკომენდაცია

საწვავის მარაგების სათანადო კონტროლისა და გადახდილი თანხების ეფექტიანად განკარგვის მიზნით, მნიშვნელოვანია სურსათის ეროვნულმა სააგენტომ შეისწავლოს 2018-2020 წლებში გაუხარჯავი მარაგების ნაშთი და დაადასტუროს მათი არსებობა; ასევე მიზანშეწონილია დაინერგოს საწვავის მარაგების მართვის ისეთი სისტემა, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს გადახდილი თანხების არაეფექტიანად ხარჯვის რისკს.

კომპონენტი, რომელზეც გაიცა

რეკომენდაცია

სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო.

შესასრულებლად

1.8 სააღრიცხვო პოლიტიკა

აუდიტის მიგნება

სააღრიცხვო პოლიტიკაში ჩამოყალიბებულია ნორმები, რომლებიც განსაზღვრავს დაწესებულებების პოზიციას და მიდგომას ცალკეული ეკონომიკური მოვლენისა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ელემენტების: აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების, შეფასების და გამჟღავნების დროს.

სამინისტროს 12 სტრუქტურულ ერთეულში შემუშავებულია სააღრიცხვო პოლიტიკა, ხოლო ორ სტრუქტურულ ერთეულში,²⁴ მათგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, მიმდინარეობს სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავების პროცესი.

რამდენიმე ორგანიზაციის²⁵ სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია 2020 წლის 5 მაისამდე და შესაძლებელია სრულად არ ითვალისწინებდეს აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნებს.

მიზეზი

არათანმიმდევრული და არასწორი სააღრიცხვო პრაქტიკა.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული უზუსტობები.

რეკომენდაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშაოს, დაინერგოს და განახლოს სააღრიცხვო

²⁴ ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო, სსიპ – ველური ბუნების ეროვნული სააგენტო.

²⁵ სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტო, სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტო, სსიპ – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, სსიპ – გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, სსიპ – ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო.

პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებული არსებითი უზუსტობების აღმოფხვრას და მომხმარებლისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის სრულყოფილად ასახვას.

კომპონენტები, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად

ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო, სსიპ – ველური ბუნების ეროვნული სააგენტო, სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტო, სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტო, სსდ – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრი, სსიპ – გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, სსიპ – ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო.

1.9 შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით

აუდიტის მიგნება

სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები²⁶ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, უფლებამოსილი არიან სამართალდარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში დააჯარიმონ ფიზიკური/იურიდიული პირები.

აღნიშნული ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლების ასახვა სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ ხდება, რადგანაც თანხები ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში და ორგანიზაციების შეფასებით არ წარმოადგენს ორგანიზაციების შემოსავალს. აღსანიშნავია ასევე ის ფაქტი, რომ ასეთი ტიპის შემოსავლების დარიცხვის მეთოდით აღრიცხვა და შემდგომ შესაბამისი შეფასებების გაკეთება, სახელმწიფო ხაზინის მხრიდან რთულად განხორციელებადია, შესაბამისი ინფორმაციის არარსებობის გამო.

მიზეზი

აღრიცხვასა და საკანონმდებლო ბაზაში არსებული ხარვეზები.

გავლენა

ინფორმაციის არასრულად და არაზუსტად წარმოდგენა.

რეკომენდაცია

საქართველოს მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშაონ სანქციებთან, ჯარიმებთან და საურავებთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკა. კერძოდ, სააღრიცხვო პოლიტიკაში დაკონკრეტდეს, რომელი უწყება უზრუნველყოფს მიღებული შემოსავლების აღრიცხვას და შესაბამისი შეფასებების გაკეთებას.

კომპონენტები, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად

სამინისტროს აპარატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

1.10 სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვა

აუდიტის მიგნება

სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტო, როგორც სახელმწიფო ტყის ფონდის მართვაზე უფლებამოსილი ორგანო, ფონდის ნაწილს სარგებლობის უფლებით (იჯარით) გადასცემს კავშირგაბმულობის კომპანიებს.²⁷ აუდიტის პერიოდისთვის სააგენტოს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 206 ერთეულ მიწის ნაკვეთზე, საერთო ფართობით – 29,439 კვ.მ. იჯარიდან მიღებულმა

²⁶ სატყეო სააგენტო, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო, სურსათის ეროვნული სააგენტო, დაცული ტერიტორიების ეროვნული სააგენტო, სსდ – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი.

²⁷ შპს „მაგთიკომი“, სს „სილქნეტი“, შპს „ვიონი საქართველო“, შპს „კავკასუს ონლაინი“.

შემოსავალმა 2020 წელს შეადგინა 1,577,198 ლარი. აღნიშნული მიწის ნაკვეთები იდენტიფიცირებულია, დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, შესაძლებელია მათი საიმედოდ შეფასება და ბალანსზე აღრიცხვა.

ასევე, სააგენტოს ამ ეტაპზე არ აქვს სრულყოფილი ინფორმაცია მთლიანი სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ²⁸ და, შესაბამისად, აღნიშნული აქტივი არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. მიუხედავად აღრიცხვის კომპლექსურობისა და სირთულისა, საკითხი მნიშვნელოვანია როგორც სამინისტროს ინდივიდუალური, ასევე სახელმწიფოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დონეზე.

მიზეზი

აღრიცხვის არასათანადო პრაქტიკა.

გავლენა

აქტივები შემცირებულად არის წარმოდგენილი.

რეკომენდაცია

საკითხის კომპლექსურობიდან და სპეციფიკურობიდან გამომდინარე, საჭიროა სამინისტრომ, შესაბამის მხარეებთან კოორდინაციით, შეიმუშაოს დეტალური სამოქმედო გეგმა სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მოპოვებისა და შემდგომ, მისი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვისათვის.

კომპონენტი, რომელზეც გაიცა

რეკომენდაცია

შესასრულებლად

სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტო.

²⁸ სააგენტოსგან მიღებული განმარტებით, სააგენტო ატარებს ტყის აღწერას (ინვენტარიზაციას). მიუხედავად ამისა, ინვენტარიზაციის შედეგად მიღებული ინფორმაცია ამ ეტაპზე არ არის საკმარისი ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენის მიზნებისთვის.

2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები

2.1 მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება

აუდიტის მიგნება	ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული სასამართლოს მიერ სააგენტოს სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილებით მოპასუხეებისათვის დაკისრებული 414,815 ლარის ოდენობის მოთხოვნა. ²⁹
კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა	ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო.

2.2 კონტროლირებადი ერთეულები

აუდიტის მიგნება	საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად, ³⁰ სოფლის განვითარების სააგენტოს ორი წლის ვადით სიმბოლურ ფასად, 1 ლარად გადაეცა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ³¹ საკუთრებაში მყოფი შპს „მოსავლის მართვის კომპანიის“ 100%-იანი წილის მართვის უფლება. სააგენტოს 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივად არ არის აღრიცხული შპს „მოსავლის მართვის კომპანიის“ 100%-იანი წილის მართვის უფლება. განმარტებით შენიშვნებშიც არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია მართვის უფლებით გადაცემული კომპანიისა და მისთვის გადარიცხული თანხების ³² შესახებ.
კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა	ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო.

2.3 სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება	სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ ანგარიშზე აღრიცხულია 243,440 ლარის ოდენობის აქტივი, რომელიც წარმოშობილია 2004 წელს ვაზის უნიკალური ჯიშების გაშენებისთვის სხვადასხვა ფიზიკურ პირსა და კომპანიაზე წინასწარ გადახდილი თანხებით. აღნიშნული თანხიდან 143,940 ლარის დებიტორული დავალიანების ნაწილი ან შესრულებულია, ან ამოღების ალბათობა მცირეა. აღნიშნული თანხა მოიცავს 69,754 ლარის ³³ დავალიანებას, რომლის გარანტია – იპოთეკის ხელშეკრულება, სასამართლოს გადაწყვეტილებით გაბათილდა, ³⁴ რის ერთ-ერთი მიზეზსაც ხანდაზმულობის ვადის გასვლა წარმოადგენდა. შედეგად, სააგენტომ კომპანიის მიმართ არსებული მოთხოვნის ამოღების
-----------------	---

²⁹ დავები ეხება სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში გაცემული თანადაფინანსების თანხების ბენეფიციარისთვის დაკისრებას: რ/კ კოოპერატივი „ლაგე 2909“ - 350,070 ლარი, ს/6420005158, საქმე N2/961-20; ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განჩინება (04.08.2020 წ.) და სააღსრულებო ფურცელი (03.12.2020 წ.); შპს „ლუკა 2010“ - 64,745 ლარი, ს/6437066489, ოზურეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება (19.03.2020 წ.), საქმე N2/1104-19, სააღსრულებო ფურცელი (18.05.2020 წ.).

³⁰ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 24 სექტემბრის N1873 განკარგულება „შპს „მოსავლის მართვის კომპანიის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის მართვის უფლებით, პირდაპირი გადაცემის ფორმით ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოსთვის გადაცემის შესახებ“.

³¹ ს/კ 405406109; ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (B20076718, 25.09.2020).

³² საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 დეკემბრის N2625 განკარგულებით „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისთვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის N223 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე შპს-ს გადაერიცხა 8,527,000 ლარი მის მიერ „აღებული სესხის ნაწილობრივ დაფარვის მიზნით“.

³³ შპს „თემო და კომპანია“.

³⁴ 2020 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე N2/17047-20 (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 129, ხანდაზმულობის ვადა 3 წელი).

ბერკეტი დაკარგა. რაც მიუთითებს დებიტორული დავალიანებების არასათანადო კონტროლზე და ქმნის ფინანსური დანაკარგების რისკს.

კომპონენტი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტო.

2.4 ძირითადი აქტივები

აუდიტის მიგნება

სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია ისეთი ძირითადი საშუალებები,³⁵ რომელთა ისტორიულ ღირებულებად, საბალანსო ღირებულებად ან შესყიდვის ღირებულებად მითითებულია, სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უძრავი ქონების რეესტრში მათი რეგისტრაციის საფასური – 50 ლარი და ცვეთის დარიცხვაც აღნიშნული თანხიდან ხორციელდება.

სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს ბალანსზე ასახულია 1,057,078 ლარის ღირებულების ნაპირსამაგრი ნაგებობები. სააგენტოს არ გააჩნია აღნიშნული აქტივების განკარგვისა და კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება,³⁶ შესაბამისად, ექვემდებარება ხარჯად აღიარებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სააგენტოს ბალანსზე ასახულია 231,973 ლარის დაუმთავრებელი მშენებლობა, რომელზეც სააგენტომ ვერ წარმოადგინა შესაბამისი პირველადი დოკუმენტაცია.³⁷

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტო, სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო.

2.5 შემოსავლები

აუდიტის მიგნება

აღრიცხვის ინსტრუქციის შესაბამისად,³⁸ შეცდომები უნდა გასწორდეს რეტროსპექტულად.

ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტომ, აქტივის რეალური ღირებულებით ასახვის მიზნით, 15,757,311 ლარით გაზარდა აქტივის ღირებულება და ამავე დროს – შემოსავალიც, რაც ეწინააღმდეგება აღრიცხვის ინსტრუქციას.

სსიპ – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მოვალეობაში შედის: ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენა, საჯარიმო ქვითრის გამოწერა და ა.შ. დეპარტამენტი 2020 წლამდე არ აღრიცხავდა მსგავსი ტიპის ჯარიმებსა და მათ ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდას. 2017-2019 წლებში გამოწერილი 1,351,551 ლარის ოდენობის ჯარიმების ოქმები ასახულია 2020 წლის შემოსავალში. აღნიშნული ოპერაცია უნდა დაკლასიფიცირდეს, როგორც შეცდომების გასწორება და აისახოს რეტროსპექტულად.

დონორების პროექტის ფარგლებში 2018 წელს კონტრაქტორი კომპანიისთვის 374,916 ლარის ოდენობის დაკისრებული ჯარიმა³⁹ ბუღალტრულად 2020

³⁵ 12 ერთეული შენობა; 204,972 კვ.მ. მიწის ნაკვეთი; 12 ერთეული 184,956 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელიც აღრიცხულია დაუმთავრებელი მშენებლობის ანგარიშზე.

³⁶ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 107, პუნქტი 1.

³⁷ ბალანსზე ირიცხება 2006 წლიდან.

³⁸ სსბასს 3, „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“, მუხლი 47.

³⁹ Alke Insaat Sanayi ve Ticaret A.S., ანგარიშგაქტურა N18880, 01.08.2018 წ.

წლამდე არ აღრიცხულა და მხოლოდ 2020 წელს მოთხოვნების და შემოსავლის ანგარიშზე აისახა.

ეროვნული სატყეო სააგენტოს ფინანსური ანგარიშგების მუხლში – „შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით“ – აღრიცხულია 10,132 ლარი, რომელიც მოიცავს დებიტორების მიერ გადახდილ თანხებს. ბუღალტრული მონაცემებით, 2020 წელს დარიცხულმა შემოსავალმა შეადგინა 133,969 ლარი. შედეგად, აღნიშნული მუხლით მიღებული შემოსავალი შემცირებულია 123,837 ლარით.

კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა

ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო, სსდ – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტო, ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების (WB), სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის პროექტი (GEF, IFAD).

2.6 გრანტები, ტრანსფერები და სუბსიდიები

აუდიტის მიგნება

აღრიცხვის ინსტრუქციის შესაბამისად,⁴⁰ შეცდომები უნდა გასწორდეს რეტროსპექტულად.

სსიპ – ღვინის ეროვნულმა სააგენტომ 2020 წელს, 2010-2018 წლებში გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, 227,760 ლარით შეამცირა⁴¹ „სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ ანგარიშზე აღრიცხული თანხა და ამავე დროს გაზარდა ხარჯებიც, რაც ეწინააღმდეგება აღრიცხვის ინსტრუქციას.

სსდ – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ ფინანსური ანგარიშგების „მიდა ტრანსფერებით ხარჯებში“⁴² აღრიცხულია 2017-2019 წლებში გადახდილი ჯარიმების თანხა – 212,681 ლარი, რაც არ მიეკუთვნება 2020 წლის ხარჯებს და ეწინააღმდეგება აღრიცხვის ინსტრუქციას.

კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა

სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტო, სსდ – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი.

2.7 სხვა ხარჯები

აუდიტის მიგნება

ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში, „სხვა ხარჯების“ მუხლში ასახულია 1,731,886 ლარის ოდენობის დღგ-ის გადასახადი. აღნიშნული თანხა წარმოადგენს სააგენტოს მიერ შესყიდული პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტების რეალიზაციიდან⁴³ მიღებული შემოსავლის დღგ-ის ნაწილს, რომელიც ექვემდებარება დაფარვას ან აქტივად/ვალდებულებად აღიარებას.

კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა

ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო.

⁴⁰ სსბასს 3, „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“, მუხლი 47.

⁴¹ სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტოს ოურიდიული სამმართველოს უფროსის 2020 წლი 3 ივლისის N1012-03 მოხსენებითი ბარათი.

⁴² შემოსავლების ამკრეფი ერთეულების მიერ ხაზინისათვის გაწეული მიმდინარე ტრანსფერებით ხარჯები.

⁴³ გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი 11,353,474 ლარი (დღგ-ის ჩათვლით).

2.8 მიზნობრივი გრანტები

აუდიტის მიგნება

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული აღრიცხვის ინსტრუქციის თანახმად, „მიზნობრივი გრანტების/ტრანსფერების აღსარიცხავად დასაშვებია საკასო მეთოდის გამოყენება, თუ შემოსავლის მიღების ოპერაციის დარიცხვის მეთოდით აღრიცხვის სავალდებულო მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული“.⁴⁴

ინსტრუქციის მიერ დაშვებული გამონაკლისით სარგებლობა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ განმარტებულია ის გარემოება, რამაც გამოიწვია სტანდარტების ზოგადი ნორმიდან გადახვევა.⁴⁵

სამინისტროს მიერ წარდგენილ განმარტებით შენიშვნებში მოცემულია ინფორმაცია, რომ შემოსავლის აღრიცხვისას გამონაკლის შემთხვევებში გამოყენებულია საკასო მეთოდი, თუმცა არ არის ახსნილი, რამ გამოიწვია დარიცხვის მეთოდით აღრიცხვის სავალდებულო მოთხოვნებიდან გადახვევა.

კომპონენტი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სამინისტროს აპარატი.

2.9 განმარტებითი შენიშვნები

აუდიტის მიგნება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში არ არის წარდგენილი სსბასს 20-ის – „დაკავშირებულ მხარეთა შესახებ განმარტებითი შენიშვნების“ მოთხოვნების შესაბამისი ინფორმაცია.

განმარტებით შენიშვნებში არ არის მოცემული დეტალური ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების შესახებ და არ არის წარმოდგენილი სტანდარტით მოთხოვნილი სხვა ინფორმაცია.⁴⁶

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საცნობარო მუხლში – „საბანკო გარანტიები“ არ არის ასახული დებიტორების მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტიის თანხები. ინფორმაცია უწყებების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში:

უწყება	საბანკო გარანტიის თანხა
სამინისტროს აპარატი	1,155,051 ⁴⁷
სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო	993,429 ⁴⁸
სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო	398,356 ⁴⁹

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სამინისტროს დაქვემდებარებული ყველა სტრუქტურული ერთეული.

2.10 ვალდებულებები

აუდიტის მიგნება

სამინისტროს აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში 2020 წლის დასაწყისში ასახულია 1996-2009 წლებში წარმოშობილი და ლიკვიდირებული

⁴⁴ მუხლი 10, პუნქტი 33.

⁴⁵ მუხლი 3, პუნქტი 1.

⁴⁶ სსბასს 20, მუხლები: 27-41.

⁴⁷ შპს „ფ.ს.გ.“, ს/კ 406140297, სს „თი ბი სი“ ბანკის საბანკო გარანტია საავანსო გადახდაზე N3637128-11230735, 24.12.2020 წ.

⁴⁸ შპს „სოლემარტი“, ს/კ 404903119, სს „საქართველოს ბანკის“ საბანკო გარანტიები საავანსო გადახდაზე: საგარანტიო თანხა - 629,400 ლარი, N ADV48292-20, 21.12.2020 წ., საგარანტიო თანხა - 364,029 ლარი, N ADV48299-20, 22.12.2020 წ.

⁴⁹ „ჰილალ ჩევერ დუზენლემე თემიზლიქ თაჰჰუთ თიჯარეთ ვე ნაქლიე“ - საქართველოს ფილიალი, ს/კ 400271120; სს „არდა დაზღვევის“ საავანსო ანგარიშსწორების უზრუნველყოფის უპირობო გამოუთხოვადი საბანკო გარანტია, N APN/20-093001, 21.12.2020 წ.

ორგანიზაციების ბალანსებიდან გადმოსული ვადაგადაცილებული კრედიტორული დავალიანებები – 5,511,566 ლარის ოდენობით, მათ შორის, გაუცემელი შრომის ანაზღაურება და მასთან დაკავშირებული ბიუჯეტის წინაშე დარიცხული 5,272,291 ლარის ოდენობის ვალდებულებები.

5,272,291 ლარიდან 3,458,354 ლარი⁵⁰ წარმოადგენს ყოფილი გარემოს დაცვის სამინისტროს ვალდებულებას, რომელზეც პირველადი დოკუმენტაცია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ვერ იქნა წარმოდგენილი.

კომპონენტი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სამინისტროს აპარატი.

2.11 ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიში

აუდიტის მიგნება

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ბრძანების თანახმად,⁵¹ ორგანიზაციებმა უნდა წარადგინონ ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს „ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშს“. აღნიშნული ანგარიში ითვალისწინებს შემოსულობების ნაწილსაც.

2020 წელს სამინისტროს მიერ საკუთარი შემოსავლებით გაწეულმა საკასო ხარჯმა 61,667,054 ლარი შეადგინა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს სისტემაში შემაჯალმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი რესურსის მობილიზება შეძლეს, რაც უნდა აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში. სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის მოცემული შემოსულობების შესახებ ინფორმაცია.

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სამინისტროს დაქვემდებარებული ყველა სტრუქტურული ერთეული.

2.12 საცნობარო მუხლები

აუდიტის მიგნება

სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს 2020 წლის 31 დეკემბრით წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების საცნობარო მუხლებში აღრიცხული აქვს ამორტიზებული ძირითადი აქტივებისა და ხარჯებში ჩამოწერილი მარაგების ნაშთები, შესაბამისად, 4,403,556 ლარის და 1,520,339 ლარის ოდენობით. სააგენტოს განმარტებით, ზემოთ მითითებული თანხები შედგება სხვადასხვა დასახელების აქტივებისაგან, რომლებიც იდენტიფიცირებულია და ამ ეტაპზე მიმდინარეობს ფასების დადგენა.

სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საცნობარო მუხლში: „ხარჯებში ჩამოწერილი მატერიალური მარაგები ექსპლუატაციაში“ აღრიცხულია 13 ერთეული საკოლექციო ბაღ-ვენახი, რომელიც არ არის შეფასებული და განმარტებით შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო, სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.

⁵⁰ მათ შორის, 2,220,117 ლარი - შრომის ანაზღაურება და 1,238,237 ლარი - ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები.

⁵¹ 2021 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 16.

3. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატმა შეაფასოს „აქციების და სხვა კაპიტალის“ მუხლში აკუმულირებული თანხების წარმოშობისა და კლასიფიკაციის სისწორე. ასევე, ა(ა)იპ – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელებული ფულადი შენატანების ეფექტიანად განკარგვის უზრუნველსაყოფად და შესაბამისი რეაგირების მიზნით, მიზანშეწონილია სააგენტომ შეისწავლოს ინვესტიციების მიზნობრიობა, დაადგინოს რამდენად მიაღწიეს მათ თავდაპირველ მიზნებს და მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, იმოქმედოს კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე, განსაზღვროს რამდენად აკმაყოფილებს აღნიშნული თანხები აქტივად აღიარების კრიტერიუმებს, მათ მიერ სამომავლოდ მოტანილი ეკონომიკური სარგებლისა და მომსახურების პოტენციალის გათვალისწინებით.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად და უტყუარად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია სამინისტრომ შეისწავლოს და შეაფასოს შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიმართ არსებული სასესხო მოთხოვნების წარმოშობის საფუძვლები ფინანსთა სამინისტროსთან კოორდინაციით. ასევე მიზანშეწონილია სამინისტროს ცენტრალურმა აპარატმა და სსიპ – ღვინის ეროვნულმა სააგენტომ განსაზღვროს, რამდენად აკმაყოფილებს ვადაგადაცილებული სესხები აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული.
რეკომენდაცია	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად და უტყუარად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებული არსებითი უზუსტობების აღმოფხვრას და მომხმარებლისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის სრულყოფილად ასახვას, როგორც სამინისტროს აპარატში, ასევე მის დაქვემდებარებაში მყოფ ერთეულებში.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, მიზანშეწონილია სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტომ შეისწავლოს დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ავანსად გაცემული დებიტორული დავალიანებების არსებობის საფუძვლები; ასევე, ფინანსთა სამინისტროსთან და დონორთან კოორდინაციით, ეტაპობრივად

	შესრულებული სამუშაოების საფუძველზე შეამციროს აღნიშნული მოთხოვნები და გაზარდოს შესაბამისი ხარჯების ან აქტივების მუხლები.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული.
რეკომენდაცია	საწვავის მარაგების სათანადო კონტროლისა და გადახდილი თანხების ეფექტიანად განკარგვის მიზნით, მნიშვნელოვანია სურსათის ეროვნულმა სააგენტომ შეისწავლოს 2019 წელს გაუხარჯავი მარაგების ნაშთი და დაადასტუროს მათი არსებობა. ასევე მიზანშეწონილია, დაინერგოს საწვავის მარაგების მართვის ისეთი სისტემა, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს გადახდილი თანხების არაეფექტიანად ხარჯვის რისკს
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.
რეკომენდაცია	აქტივების მართვაში არსებული ნაკლოვანებების გამოსავლენად და ასევე, ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით და კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების შესასრულებლად მნიშვნელოვანია, რომ სამინისტროს სტრუქტურაში შემავალმა ორგანიზაციებმა ინვენტარიზაცია ჩაატარონ ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული.
რეკომენდაცია	შემოსავლების სრულად და ზუსტად ასახვის მიზნით, მიზანშეწონილია სსიპ – სურსათის ეროვნულმა სააგენტომ შეიმუშაოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს რეგიონებიდან მიღებული რეესტრების პასუხისმგებელი პირების მიერ ავტორიზებას და მათში ცვლილებების შეტანის მონიტორინგს.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, მიზანშეწონილია დაცული ტერიტორიების სააგენტომ შეისწავლოს საცნობარო მუხლში აღრიცხული აქტივების ნაშთების წარმოშობის საფუძველები და დაადგინოს, რამდენად სწორად აყალიბებენ ისინი ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლს.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.

გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესზე პასუხისმგებელი პირი	თამუნა ბერუაშვილი tberuashvili@sao.ge
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემა	https://aris.sao.ge/
ვებგვერდი და სოციალური მედია	https://www.sao.ge/ https://www.budgetmonitor.ge/ka http://www.blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელექტრონული ფოსტა	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE